

Აცნობი ავტორი

ᲨᲔᲢᲧᲣᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲕᲘᲗᲐᲠᲛᲔᲓ: „ᲡᲣᲚᲜᲘ ᲙᲐᲪᲗᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲕᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲡ ᲤᲝᲠᲪᲗᲐᲡᲐ“*

ᲚᲝᲪᲕᲘᲡᲐ ყოფად ჩემთჳს ვეეედრები ყოველთა, რომელთაცა სახელისა მიმართ ᲥრისტᲔსისა სახელის-დებითა მოუგიეს წარჩინებული საქადულობაჲ და წოდებულ არიან ნამდჳლვე ახლისა სახელითა, ვითარცა იტყჳს მის ძლითი წინაჲსწარმეტყუელებაჲ და ვითარცა სამოსლითა რაჲთამე ბრწყინვალითა გარეშეცვულ არიან შუენიერებითა მისითა და არა რომლითა სახითა თავს-იდებენ შეცვალებითსა თანა-წარსლვასა სულიერისა მოძღურებისასა და არცა ქუეყანით მჴმობელ არიან, არცა მოსურნე **ᲨᲒᲐᲠᲘᲡ** ვისმე **ᲛᲔᲒᲒᲞᲢᲔᲚᲘᲡᲐ** დამტევებელნი **ᲡᲐᲠᲠᲐᲐᲮᲜᲘ**, რომელთაგან პირველი იგი გარეშესა სიბრძნესა, ხოლო მეორე საღმრთოსა და ნეტართა მამათა ჩუენთა თანა სახლეულსა საკუთარსა და ᲮᲔᲪᲘᲗ გარდამოსრულსა მას დაჰსახვენ, რაჲთა ესრეთ რაჲ ერთ ვიყვნეთ ჩუენ, ყოველნივე ასონი Იკლესიისანი, ურთიერთას შევიწყუნეთ და შევინაწევრნეთ საუფლოჲსაებრ ლოცვისა და სათნო-ყოფისა და თავად მოვიგოთ თავადი მწყემსთ-მთავარი Ქრისტე.

2. ᲔᲝლო ვინაჲთგან შურითა ეშმაკისაჲთა სიკუდილი შემოვიდა სოფლად, უწინარეს გრძნობადისა საცნაური, და თითოეული თავისა თჳსისა თანა ეძიებს, არა Იესუ Ქრისტეს თანა სარეწავად შემრაცხველი კეთილად მსახურებისაჲ, და მგელნი მძიმენი, ცხად არს, ვითარმედ წინამძღუარნი წვალებათანი განჰრყუნიან Იკლესიასა და მბრძვანან ჩუენ გარეშისა სიბრძნისა, აზნაურებისა და სიმარტივისა ჩუენ შორის შემოღებითა და სახელის-დებითა მორწმუნედ წოდებისაჲთა, ტყავითა ცხოვარისაჲთა შეუმოსიეს მგელნი, რომელნი ტაბლასა Ქრისტესსა ეზიარებიან და ტაბლასა ეშმაკთასა, რომელთათჳს ფრიადცა სამართალ არს ჩემდა, რაჲთა სულს-ვითქუმევდე მათ ზედა, ხოლო განვაკრძალებდე ეზოსა ჩუენისათა, ნუ სადა იქმნეს ვინმე მათგანი განსაჭრელ მჴეცთა.

Დინაჲცა მე სხუათა უკუე ჟამისად თანა-წარვჴდები, ხოლო გამოძიებასა ვჰყოფ მათ თანა, რომელნი **ᲡᲘᲗᲐᲚᲝᲠᲐᲐᲮᲡ** და **ᲡᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡᲗᲐ** განცხადებულად წინა-განმაწყობენ ჩუენ სჯულთა, და დარღუევად მოსწრაფე ვარ აღმღურეულისა მის ნაღუარევისა, რომელი იღუწის წარრღუნასა წმიდისა მის სამოციქულოთა წყაროს თუალისასა მსგავსად მათსა, რომელნი ღჳნოსა განჰმზადებენ წყლითა და სახელითა მეცნიერებისაჲთა სილაღით აღდგებიან წმიდათა Იკლესიათა ზედა, რომელნი სოფლისა და ჴორცთასა პირველ-ყოფასა ზღაპრის-მეტყუელებენ სულთასა: «და ნაცვალად მცოდველობისა მათისა საკრველად მიეცნესო მათ ჴორცნი, რაჲთა ვითარცა საპყრობილესა წყუედეულთა კუალად შეიყუარონო აღსლვაჲ მუნვე, სადაჲთ-იგი ცოდვისათჳს დამოცვივეს».

3. ᲪᲬ უკუე მთნდა მე, ამათისა მხილებისა მნებებელსა, რაჲთა ბუნებითთა გულის-სიტყუათა მიერნი უკუე გამოსაჩინებელნი მათთჳს მოსწრაფეთა მათ დავუტევნე, ხოლო საღმრთოჲ Წერილი კეთილად მსახურებისა სჯულთა თანა-მოსაჯულად ვიჴუმიო, და განჩინებითა Შამათაჲთა განმტკიცებულ ვყო მხილებაჲ მათი და ესე ვყო ბრძნისა სჯულის-მდებელისა, ხოლო უფროჲსღა მის შორის ესრეთ მეტყუელისა რწმუნებითა, ვითარმედ: «Ჰკითხე მამასა შენსა და გითხრას შენ მოხუცებულთა ყოველთა და გაუწყონ შენ».

ᲔᲝლო შეუდგს პირველ-მყოფობისა სულთაჲსა განჩინებასა სიტყუაცა კუალად-გებისაჲ, რომელი-იგიცა უცხოდ გამოვაჩინოთ წყაროთა ცხორებისათა, რამეთუ: ერთისა და მისვე ბოროტად მსახურებისა ძირით აღმოსრული მორჩი არს უღლეულობაჲ ესე **ᲔᲚᲚᲘᲜᲔᲑᲠᲘᲕᲗᲐ** სჯულთა უსჯულოებისაჲ, რომელთა შორის პირველ მოიჴსენებოდედ პირველ-მყოფობისა სულთაჲსა ზღაპრებრივი თხზულებაჲ და იგი

* ლიტერატურული ძიებანი, ეძღვნება აკად. Შ. Ყარამიძეს, თბ., 1983. ᲚᲕ. 262-278. Წექსტი თარგმნილია წ˜ა არსენ იყალთოელის მიერ; დასაბეჭდად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა.

წინა დაიდებოდედ უპირატესად ღუაწლად სიტყუასა ჩუენსა. ყემწედ მოქმედებითა ჭრისტესითა, რომლითა კადნიერებით განჰრყუნიან იგინი საღმრთოთა სიტყუათა და თჳთ უნებლიედ აღიარებენ ამათ პირთათჳს აღწერილთა მათთა შინა, ვითარმედ ყოვლად-ყოვლითურთ უცხონი არიან ვიდრე საეკლესიოჲს მოცემისაგან.

4. ᲔᲝᲚᲝ დასაბამად იტყჳს: «დაბადებაჲ დავაფუძნოთ კაცისაჲ», რამეთუ: «შექმნა, – იტყჳს, – Იმერთმან კაცი და შთაჰბერა მას სული ცხოველი»(შესქ.2,7), ხოლო შთაბერვაცა მას უგამოცდილესნი Ѯამათანი და **Ѯიდჳმოს** სულისა ძლითსა სიტყუასა შინა საღმრთოდ იტყჳს «სულად დაბადებულად სულისა ჩუენისად». Ѯნ უკუე უკუეთუ შემდგომად წინადაწესებულისა მის შესაქმისა ჴორცთაჲსა სულისა მიერ Ѯჳსისა არს ყო Იმერთმან კაცობრივი სული, სადაღა დაუშთების სული ამისსა თქუმასა, ვითარმედ: «პირველ სადამე მცოდველი და ვნებული ჴორცთა მომართ გარდამოავლინა იგი და, ვითარცა საკრველნი რაჲმე, სატანჯუელად მოუღონნა ესენი»? ხოლო ვითარ აკურთხა Იმერთმან და თქუა: «აღორძნდით და გამრავლდით»(შესქ.1,28)? რამეთუ არა-სახიერისა საქმე არს, რაჲთა განმრავლებაჲ ენებოს ხეცით გარდამოვრდომილთაჲ და რამეთუ წყევისა და არა-კურთხევისასა არს ესე სახელსა. Ѯნუ ვითარ ცხორებაჲ უწოდა Იმერთმან დედაკაცსა, მოსრულსა სიკუდილად და დაფლულსა ჴორცითა მათისა? და ვითარ კუალად კურთხევისა კერძოდ განიჩინოს შვილ-მრავლობაჲ, რომელსა-იგი მიმთხუეულნი წმიდანი წყევისა და ყუედრებისა ღირსად ჰგონებენ საქმესა უშვილოებისასა?

Ѭამეთუ **Ѯვა**შვა რაჲ, არა უბადრუკებაჲ მისცა შობილსა მას, რამეთუ ჴორცთა მომართ ვითარ დამოვარდა, არამედ უფროჲსლა შობასა ზედა ქებისა მეტყუელ იქმნა შემოქმედისა, მეტყუელი: «მოვიგეთ კაცი Იმრთისა მიერ»(შესქ.4,1).

Ѯა **სეითის** შობაჲ თქუა, რამეთუ: «აღმიდგინა მე Იმერთმან თესლი სხუა ნაცვალად **Ѯბელისსა**, რომელი მოკლა **ᲙᲐᲔᲜ**»(შესქ.4,25). ᲔᲝᲚᲝ დაცემასა ზედა სულთასა სიხარული უეჭუელად უღირსი არს სჯულის-მდებელისა აღმწერელობისაჲ.

ᲔᲝᲚᲝ ეგოდენ და ეგევითარად **Ѯბრაამ** Იმრთისა მიმართ დრტჳნვით მწუხარე არს და იტყჳს: «Ѭეუფეო, რაჲ მომეც მე, რამეთუ

მე ესერა წარვწყმდები უშვილოჲ»(შესქ.15,2), და ეგოდენთა მათ აღთქუმათა ღმრთისათა ურგებად განასაზღვრებს უშვილოებასა შინა, რამეთუ უკუეთუმცა დაცემა სულთა იყო სიმრავლე შვილთაჲ, არამცა უმეცარ იყო იგი, რომლისაგან არარაჲსა დაფარვა აღუთქუა Იმერთმან.

ᲔᲝᲚᲝ კუალად **Ѕარრაჲსთჳს** იტყჳს Იმერთი: «ვაკურთხო უკუე იგიცა და მოგცე შენ მისგან შვილი»(შესქ.17,16), რომელისა შობასა ზედა მოხარული იტყოდა: «საცინელ მყო მე Იმერთმან, რამეთუ: ვისმცა ესმეს, ჩემ თანა უხაროდეს»(შესქ.21,6).

Ѯა **Ѭსმაილისთჳს** იტყოდა Იმერთი: «ვაკურთხო იგი, განვამრავლო იგი ფრიად»(შესქ.17,20). Ѯა დაღათუ ბარბაროზსა ნათესავსა ეგულებოდა მისგან შობილ-აღდგომაჲ, არამედ ეგრეთცა შობაჲ კურთხეულადვე გამოაჩინა.

Ѯა **Ѭსაკ Ѭებეკაჲს** ბერწობისა დაჴსნასა ლოცვით ითხოვდა Იმრთისაგან და შეისმინა მისი Იმერთმან(შესქ.25,21-26).

ᲔᲝᲚᲝ არასრულ ჰყოფს ვითარ სახედცა მთხოველთა თხოვასა Იმერთი, რამეთუ: «ითხოვთო, – იტყჳს, – და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ»(იაკ.4,3). Ѯა არამცა შეესმინა, უკუეთუმცა შვილიერებისა მიერ ხეცით გარდამოვრდომასა მლოცველ ყოფილიყო სულისასა.

საწყალობელად უკუე და **Ѭაქილცა** ესაჯების **Ѭაკობს**: «მომცენ მე შვილნი, უკუეთუ არა, აღვესრულო»(შესქ.30,1), რომლისა მიმართ იტყჳს მამათმთავარი: «ნუ ნაცვალი Იმრთისაჲ ვარ მე, რომელმან ბერწ გყონ»(შესქ.30,2). Ѭამეთუ ამისი უჴმდა მას თქუმაჲ: «არა კეთილ არს შვილთა სხმაჲ, რაჲთა არა გარდამოცჳვენ სულნი». Ѣარნა იგი შვილიერ რაჲ იქმნა, იხარებდა და კუალად იტყოდა: «შემძინენ ძე Იმერთმან სხუაცა»(შესქ.30,24). Ѭომლისათჳს **Ѕვნანცა** მოკუდების, რამეთუ ცუდად დაუტევა თესლი ქუეყანად(შესქ.38,9). Ѯა სჯულის-მდებელი აღუთქუამს **Ѭსრაელსა**: «უკუეთუ დაივანნე მცნებანი Ѳფლისანი, არა იყოს უშვილოჲ შენ შორის, არცა – ბერწ»(II შჯ.7,14).

Ѯა რად საჴმარ არს თქუმად, თუ ვითარ **Ѕნნა** შეშჭუოდა Იმერთსა და თუ ვითარ მირაჲ-ემთხჳა თხოვათა(I მეფ.1,5-8)? მოცემული იგი ნაცვალად მისცა მომცემელსა სამადლობელად. Ѭსევითარივე არს სიტყუაცა იგი, ვითარმედ: «აჰა სამკჳდრებელი Ѳფლისაჲ – შვილ-

ნი»(ფს.126,3), და «ცოლი შენი ვითარცა ვენაჯი მსხმოჲ, და ძენი შენნი ვითარცა ახალნერგნი ზეთის-ხილისანი»(ფს.127,3) და «უბანნი ქალაქისანი აღივსნენ ყრმათა და ქალთა მომღერალთა მიერ»(ზაქ.8,5).

ᲔᲚᲝᲚᲝ **ᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ** იტყჳს, რამეთუ: «ესრეთ მიყო მე Ოფალმან დღეთა ამათ, რომელთა მოხედნა მოსპოლვად ყუედრებაჲ ჩემი კაცთაგან»(ლუკ.1,25). ᲯᲝᲛᲚᲘᲡᲐ ესმა გარემოჲს მკჳდრთა, ვითარმედ: «განადიდა Ოფალმან ყოფად მის თანა და იხარებდეს მის თანა»(ლუკ.1,58). ᲩᲬ უკუე გან-სადმე-დიდნების ვინმე ღმრთისა მიერ შემწყნარებელი შობისაჲ; ხოლო არამცა იყო ესე, უკუეთუმცა მიზეზ დასჳჯილებისა შობილთაჲსა იქმნებოდა შობაჲ. «მის თანა იხარებდესო», – იტყჳს. ᲩᲠᲐ რამეთუ წინაჲსწარმეტყუელი ეშვა, რამეთუ სადაჲთ უწოდეს ესე, არამედ რამეთუ ლიტონისა ყრმისა იქმნა დედა, რომელი სიხარულსა თანა დედისა მისისასა ჰკრთებოდა მუცელსა შინა მისსა.

ᲔᲚᲝᲚᲝ **ᲩᲑᲘᲛᲔᲚᲘᲥᲡ** ზედა განრისხნა რაჲ Ოფალი, დაჴშა ყოველი საშოჲ სახლსა შინა მისსა(შესქ.20,18). ᲩᲐ კუალად უღმრთოთათჳს თქმულ არს, ვითარმედ: «ნაყოფი მათი ქუეყანისაგან წარსწყმიდო და თესლი მათი – ძეთა კაცთაგან»(ფს.20,11), რომლისა მსგავს არს იგიცა, ვითარმედ: «მიეც მათ, Ოფალო, რაჲ მისცე მათ; მიეც მათ საშოჲ უშვილოჲ და ძუძუნი ჴმელნი»(ოსე.9,14).

ᲯᲝᲛᲔᲚᲜᲘ უკუეთუ სახისმეტყუელებით ოდენ გულის-ჴმა-ყვნეს, ცალიერ იყვნენ ყოველნივე თხრობანი ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲜᲘ და არავინ კაცი მითუალულ იქმნეს შობილთად კაცთაგან, რაჟამს შეუწყნარებელ იყოს უწყებაჲ შობათა მათთა თხრობისაჲ, ვინაჲთგან საღმრთოჲცა ᲨᲝᲪᲘᲥᲣᲚᲘ სახისმეტყუელებდეს სიტყუასა ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲡᲐ; არა დაარღუევს მატიანესა თხრობისასა, არამედ მაგალითსა მოიღებს საქმეთა ჭეშმარიტებით ქმნულთაგან, მᲩუენებელი მსგავსებასა ურთიერთასსა, ვითარ-იგი ცხად-ჰყოფდა მეტყუელი: «და ესე უკუე სახენი შეემთხუეოდეს მათ, ხოლო დაიწერა სჯულის სადიდებლად ᲩᲣᲔᲜᲓᲐ»(I კორ.10,11); რომელსა კუალად იტყჳს უცხადესად-რე, ვითარმედ: «ესე სახენი ᲩᲣᲔᲜᲗᲫᲣ მოიჴსენნეს, რაჲთა არა ვიყვნეთ ᲩᲣᲔᲜ გულის-მთქუმელ ბოროტისა, ვითარცა იგინი გულის-მთქუმელ იყვნეს»(I კორ.16,6).

5. ᲩᲛᲐᲗ თანა ესეცა განვიხილოთ, თუ ვითარ ეძვინებოდა ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐ სიკუდილი და დაჴსნაჲ და

ᲮᲠᲬᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜ ჴორცთაჲ.

ᲯᲐᲛᲔᲗᲣ დასჯად უფროჲს ვიდრეღა დასჯისა დაჴსნათ ჩანან იგინი შემრაცხველად სიკუდილისა და რამეთუ ᲯᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ-იგი დასაბამსა 5 დაბადა კაცი და მისცა მცნებაჲ პატიჟად გარდასლვისა, მეყსეულად განსაზღვრა სიკუდილი, ᲰᲠᲥᲣᲐ რაჲ: «რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოᲰᲙᲣᲓᲔᲗ»(შესქ.2,17). ᲝᲙᲣᲔᲗᲣ სატანჯუელად მოპოვნებულნი საკრველნი არიან ჴორცნი, რაჲსათჳს პატიჟად დასდვა მცოდველთა სიკუდილი მათი? რამეთუ უფროჲსღა წინააღმდგომსა ამისსა უღირდა ქმნაჲ და განგრძობაჲ საპყრობილესა შინა ცხორებისა მათისა დღეთაჲ! ᲔᲚᲝᲚᲝ ვითარმედ 15 გრძნობადსა სიკუდილსა იტყჳს, ცხად-ᲰᲧᲝᲤᲡ სიტყჳთა ამით, ვითარმედ: «მიწა ხარ და მიწად მიიქცე»(შესქ.3,19). ᲩᲐ საქმე შეუდგა ქადებითა თქუმათა სიკუდილითა **ᲩᲓᲐᲛᲘᲡᲘᲗᲐ**, რომლისაგან გამოჴსნითა ᲮᲠᲘᲡᲢᲔᲡᲛᲐᲜ აღდგომა 20 მოგუანიჭა ᲩᲣᲔᲜ, რომელსა-იგი **ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲗᲐ** მიმართ მიმწერელი დიდი **ᲐᲕᲚᲔ** ჴმობს, რამეთუ: «ვინაჲთგან კაცისა მიერ იყო სიკუდილი, კაცისა მიერვე იქმნა აღდგომაჲ მკუდართაგან», რამეთუ: «ვითარცა **ᲩᲓᲐᲛᲘᲡ** მიერ ყოველნი მოვსწყდებით, ეგრეთვე ᲮᲠᲘᲡᲢᲔᲡ მიერ 25 ყოველნი ცხოველ ვიქმნებით»(I კორ.15,21-22).

ᲔᲚᲝᲚᲝ უკუეთუ საკრველნი და სატანჯუელნი არიან ჴორცნი, ვიიძულები თქუმად, ვითარმედ: «ავნო მოსლვამან ᲮᲠᲘᲡᲢᲔᲡᲛᲐᲜ, 30 კუალად აღმადგინებელმან ჴორცთა ᲩᲣᲔᲜᲗᲐᲛᲐᲜ და კუალად დამსხმელმან მათ საკრველთამან, რომელთაგან სიკუდილსა დაეჴსნეს». ᲪᲐᲚᲘᲔᲠ სამე ქებაჲ მოციქულთაჲ! ᲪᲐᲚᲘᲔᲠ სარწმუნოებაცა ᲩᲣᲔᲜᲘ ᲨᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲐ ᲩᲣᲔᲜᲘᲡᲐ ᲨᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐ 35 მიმართ, სიტყჳსა ამისებრ სავნებელად ᲩᲣᲔᲜᲓᲐ გამოᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ: «რომელმან აღადგინნესო მოკუდავნი ჴორცნი ᲩᲣᲔᲜᲜᲘ, და დაუჴსნელ ყვნეს უხრწნელებისა მიერ», რამეთუ: «უჴმს მოკუდავსა ამას შემოსად უკუდავებაჲ» და რამეთუ: «არა ვეძიებო, – იტყჳს, – განძარცვასა, 40 არამედ შემოსასა»(შდრ.: I კორ.15,53-54).

ᲩᲠᲐᲛᲔᲓ ᲩᲣᲔᲜ წინამდებარისავე მიმართ მივიქცეთ.

6. ᲮᲕᲔᲚᲘᲡ-მოქმედ სადმე ექმნა **ᲙᲐᲘᲜ ᲩᲑᲔᲚᲡ**, 45 რამეთუ განჴსნა იგი საკრველთაგან(შესქ.4,8). ᲮᲘᲗᲐᲠ უკუე ᲘᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ტკივნეულმან მართლისათჳს მრისხანედ ტანჯა კაცის მკლველი იგი? ანუ ვითარ კუალად ჴორციითა მისცვალა **ᲜᲝᲔ** სასყიდელად მიმცემელმან მათთჳს,

რომელთა მიერ სათნო ეყო ჴორცთა დაუჴსნელობისაგან(შესქ.5,24)? ხოლო სტანჯვიდა რაჲ უღმრთოთა, წყლითრღუნასა რაჲსათჳს **Ноѳ** განარინა(შესქ. Გ.7-8)? რამეთუ უჴმდა მისი ვიდრემე განჴსნაჲ ჴორცთაგან სიკუდილისა მიერ, ხოლო მათი სიცოცხლისა მინიჭებაჲ უკუეთუ სატანჯჳელად წყუდეულ იყვნეს საპყრობილესა შინა.

Რრამედ **Შრაამსცა** აღუთქუა მეტყუელმან Იმერთმან: «ხოლო შენ წარხვიდე მამათა ყოველთა მიმართ განზრდილი სიბერითა კეთილითა»(შესქ.15,15). Ელარნა ცუდად სადმე მისცა დაყოვნებაჲ ჴორცთა შინა, რამეთუ ადრე ჯერ იყო მიმადლებაჲ მათგან განჴსნისაჲ, უკუეთუ განსაპატიჟებლად შეკრულ იყო ჴორცთადა. Ჲოლო სიკუდილისაგან შეშინებული **Შრაჰამ** დად უწოდდა ცოლსა და ტრფიალთა მიმართ განსცემდა(შესქ.12,11-20). Აჴმდა უკუე შეურაცხისყოფაჲ **მეგჳპტელთაჲ** და ქველის-მოქმედად შერაცხვაჲ მკლველთაჲ, რომელნი დასჯილებისა მისისა საპყრობილით განათავისუფლებდეს მას.

Შნუ რაჲ დიდ იქმნა მსხუერპლად მიგურაჲ Იმრთისაჲ **Ესაკისი**(შესქ.22,1-13), უკუეთუ ბოროტ არს სიცოცხლე ჴორცთა შინა და დაჴსნა მისი არს სიკუდილი? გარნა რაჲსათჳს შემდგომად ფრიადისა სიბერისა აღსრულებულსა **Სარრას** ჰგოდებდა და ეტყებდა(შესქ.23,2), რამეთუ მოძულისაჲ იყო საქმე ესე? რაჲთამცა ენება მისი მერმეცა პყრობილობაჲ ჴორცთა შინა?

Შა **Ესაკ** ეტყებდა დედასა თჳსსა, ვიდრე მოყვანებადმდე **Რებეკაჲსსა**, რომელმან უგულებელს ყოცა სიკუდილი შეშინებულმან **ფილისტიმელთაგან**(შესქ.26,7). Შრამედ ესევე ჰხედვიდა რაჲ ძმისა მიმართ მკლველებრივობასა **Ესავისსა**, **Ყუამდინარედ** წარავლინა **Ეაკობ**, რაჲთა არა სიტყჳსაებრ თქუენთა ქველყოფილი განიჴსნას ჴორცთაგან(შესქ.27,41-44). Ჲოლო დიდსა რასმე ბოროტსა იტყოდა იგი ამას: «ნუ სადა უშვილო ვიქმნაო თქუენ ორთაგანვე ერთსა შინა დღესა»(შესქ.27,45). Შრამედ **Ყუამდინარით** აღმოსრულიცა **Ეაკობ** ჴმობდა Აფლისა მიმართ: «განმარინე მე ჴელისაგან **Ესავისა**, ძმისა ჩემისა, რამეთუ მეშინის მე მისსა, ნუ სადა მოვიდეს და მომკლას მე და დედაჲ შვილთა თანა»(შესქ.32,11). Შა არცა რაჲ სიკუდიდ-საგონებელსა მას ზედა შემთხუევასა **Ესებისსა** პოვა ნუგეშინის-ცემაჲ და შიშითა სიკუდილისა მისისაჲთაცა მარადის თავისა თჳსისაგან განუშორებელად იპყრა **Ლენიამინ**(შესქ.43,29-34). Შა ფარაოს მიმართ მცირე წელიწდეულობასა თჳსსა მჭუარ არს და იტყჳს დღეთა თჳსთათჳს: «მცირე იყვნეს და ვერ მიეწიფნესო დღეთა მამათა ჩემთასა»(შდრ.: შესქ.47,9).

Შა **Შოსეცა**, მილტოლვარე სიკუდილისაგან **Შადიამისა** უდაბნოსა, შეიტკბობს და ჰმონებს ჟამთა მრავალთა და ეშინის **საეგჳპტეოჲსა** მგზავრობისაგან(გამს.2,15-25) და ეს მაშინ, ოდეს Იმერთი წარავლინებდა მას და ნუგეშინის-სცემდა და ეტყოდა, ვითარმედ: «მოსწყდეს ყოველნი სულისა შენისანი» და შემდგომითი შემდგომად.

7. Ლოველთა მართალთა შორის არცა ერთსა ვის ჰპოვებ, რომელსამცა არა მოეპოვა ვითარიცა ღონე სიკუდილისაგან განრომისაჲ, რომელთა შორის დიდმანცა **Შავით** ეგოდენნი ღუაწლნი დაითმინნა **საულისაგან** განრომისათჳს(I მეფ. Გ.19-24); რომლისა აწ ნამეტნავ არს თითოეულად წარმოთქუმაჲ, თუ ვითარ **Შენირ** ეტყებდა(II მეფ.3,30-34), და **Შმნონს** ჰგოდებდა(II მეფ.13,28-31), და **Იონათანს** ზედა სალმობიერად ტკივნეულ იყო და **საულს**(II მეფ.1,5-12), და **Შესალომს**, მოკუდავსა ზედა ძესა თჳსსა, მჭურვალედ ტიროდა(II მეფ.18,22-23). Ჲოლო თჳთ მას რაჲ ეგულებოდა სიკუდილი, საწყალობელი აღუტევა ჴმაჲ მეტყუელმან ესრეთ: «აჰა, ესერა მე წარვალ გზასა ყოვლისა ქუეყანისასა»(III მეფ.2,2). Ელარნა უკუეთუ საპყრობილით გამოსლვაჲ არს სიკუდილი, რაჲსათჳს იწიწვის და ეშინის მისგან და Იმრთისა მიმართ ღაღადებს: «ნუ განმიყვანებ განზოგებასა შინა დღეთა ჩემთასა»(შდრ.: ფს.101,25)? და კუალად კეთილად მსახურებისათჳს იტყჳს Იმერთი მის მიერ: «დღეგრძელობითა განვაძღო იგი»(ფს.90,16), ხოლო წინააღმდგომთათჳს, ვითარმედ: «კაცთა მოსისხლეთა და მზაკვართა ნუ განაზოგენ დღენი მათნი»(ფს.54,24).

Შრიან ესევითართა სიტყუათა მიერ Ღსალმუნნი და Ჩიგნნი, რომელთა ენებოს განხილვაჲ მათი, რომელთა შინა ვის არა აღმოუკითხავნ **Ესაიაჲს** ცრემლნი, ვითარმედ: «ვისმინი ჴმისა შენისაჲ და ვიხილენ ცრემლნი შენნი და, აჰა, შევსძინო დღეთა შენთა ათხუთმეტი წელიწადი»(ეს.38,5), რომლისათჳსცა სამადლობელი გალობა აღავლინა მან Იმრთისა და არცა Იმერთმან ასწავა მას, ვითარმედ: «კეთილ არს გამოსლვაჲ საპყრობილისაგან ჴორცთაჲსა», არცა დიდმან წინაჲსწარმეტყუელმან ეგევი-

თარნი იჴუმინა მის მიმართ სიტყუანი.

Ესპოვებ უკუე და **Ელიასცა** საკჳრველსა მოშურნეთა ვიდრემე უღმრთოთა მიმართ, ხოლო მოშიშად სიკუდილისა მიმართ, რომლისა არცა გამოცდილებაჲ მიიღო გარდამეტებულებითა Იმრთის-მსახურებისაჲთა და ვითარ ეგოდენი და ეგევითარი თავს იდებდა ეგოდენ საგრძელოსა მას ჴორცთა შინა და სასჯელსა პყრობილებისასა, არამედ ქველის-მოქმედთა მათთა დედათა თჳთ მანცა და მოწაფემანცა მისმან აღდგინებაჲ ყრმათაჲ მიაგეს ნაცვალად(III მეფ.17,17-23). Ცა ვითარ არა ავნეს მათ, კუალად საპყრობილედვე მიუწოდეს რაჲ მკუდართა.

Ცა რად საჴმარ არს თქუმად, თუ რაოდენნი **Ერემია** და რაოდენნი **Ცანიელ** და მისთანათა მათ ყრმათა არა აღსრულებისათჳს აღუტევნეს ჴმანი! Ცა ყოველი წმიდაჲ აქასა ამას ცხორებისასა უფროჲს პატივს-სცემს სიკუდილისასა. �na თუ სადმე უღმრთოებისა მიმართ მიდრეკად ვინმე იიძულებოდის, რამეთუ მხოლოდ Იმრთისა ოდენ უპატიოსნეს ჰყოფენ სიცოცხლისასა, ვინაჲთგან საღმრთო **Საავლეცა** დასწერს მოწაფისათჳს, ვითარმედ: «დასნეულდა მახლობელად სიკუდილისა, არამედ Იმერთმან შეიწყალა იგი და არა იგი ხოლო, არამედ მეცა, რაჲთა მწუხარებაჲ მწუხარებასა ზედა დამერთოს»(ფლპ.2,27). Ყემდგომად ᲮრისტᲩს აღდგომისა და საუკუნოჲსა ცხორებისა ჭეშმარიტისა სასოებისა, არამედ ეგრეთვე მწუხარებად სახელს-დებს საქმესა ამას. Ცაღათუ არარაჲ მწუხარებაჲ არს განთავისუფლებაჲ კრებულისაგან, რამეთუ ვითარ არა სიხარულისა და დღესასწაულობისა ღირს არს ესე თქუენებრ და კაცის მკლველთა და მბრძოლთა ქველის-მოქმედად ჯერ-არს შერაცხვაჲ, რომელნი ესოდენ მძჳნვარისა ჭირისაგან მიჴსნიან ჩუენ დაჴსნისა მიერ ჴორცთაჲსა, და არა მილტოლვაჲ Იმრთისა მიმართ და მათგან გამოჴსნისა ცრემლით გამოთხოვაჲ, რომლისა არა ხოლო ჩუენ, არამედ ყოველნი წმიდანი იპოვებიან მოქმედად.

Ცა ესენი უკუე სისწრაფისა ძლით მრავალთაგან მცირედნი საღმრთოჲსა Ჩერილისაგან შემოვკრიბენით. Ხოლო რაჲთა არა თქუმულნი ესე ცუდად და ამაოთა თარგმანებათა მიმართ გარდააქცინენ, მარადის ჴსენებულთაცა Ყათოლიკე Ჩკლესიისა Შამათაგან ამის ძლითნი რწმუნებანი შემოვკრიბენ და მრავალნი უკუე

დავუტევენ, რაჲთა არა უზომოდ სივრცედ განვჰფინო სიტყუაჲ და მცირედნი ოდენ გამოვირჩიენ მათგანნი უმეტესისა სიმტკიცისათჳს.

8. Ხოლო ვიწყო მონაცვალისა წმიდათა მოციქულთაჲსა **Რრინეოს Ხოგდონელისა** ეპისკოპოსისა წინადამდებელმან ამათთჳს, რამეთუ ესრეთ იტყჳს იგი მესამესა სიტყუასა შინა წვალებათა მიმართსა მესამოცედ თავად:

«ხოლო **Სლატონ** ძუელი, რომელმან პირველად აღწერასა მისცა მადიდებლობაჲ, ესე უღონოჲ რაჲ იქმნა სიტყჳს-გებად, მოიპოვა სასუმელი დავიწყებისაჲ, რომლისა მიერ უღონოებისაგან განვლტოლვასა თჳსსა აზმნობდა. Ხოლო გამოჩინებისა ვერცა ერთისა მყოფელმან სჯულის-დებით განაჩინა, ვითარმედ: «შემოიყვანებიან სულნი ცხორებასა ამას ქუეშე კერძო ქუეყანისა მყოფისა ეშმაკისა მიერ და პირველ ჴორცთა შორის შესლვისა ასუმენ მათ დავიწყებასა», და დაჰვიწყდა სხუასა უფროჲსსა უღონოებასა შინა შთაგდებაჲ თავისაჲ, რამეთუ: «უკუეთუ სასუმელი დავიწყებისაჲ კმა იყო შემდგომად სუმისა აღჴოცად ჴსენებასა პირველ გარდასრულთა ყოველთასა, თჳთ ესე ვინაჲ უწყი, ჰოჲ **Სლატონ**, აწ ჴორცთა შინა მყოფისა სულისაჲ, ვითარმედ პირველ ჴორცთა მომართ მოსლვადმდე ეშმაკთა მიერ ეწდია სასუმელი დავიწყებისაჲ? რამეთუ უკუეთუ ეშმაკი, და სასუმელი და შესლვაჲ გაჴსოვან, სხუათაცა გიჴმს შენ ჴსოვნებაჲ, ხოლო უკუეთუ მათ უმეცარ ხარ, არცა ეშმაკი ჭეშმარიტ არს, არცა სხუაჲ სიტყუაჲ-ჴელოვნებაჲ დავიწყებისა სასუმელისაჲ».

მისივე მისვე სიტყჳსაგან ორმეოცდა მეათცხრამეტისა თავისა:

«ხოლო პირველ-მყოფობასა წარრევასა დავარღუევთ რაჲთურთით არცა ერთსა რას პირველთაგანსა ჴსოვნებისაგან სულთაჲსა, რამეთუ: უკუეთუ ამისთჳს გარდამოივლინებოდეს, რაჲთა ყოვლისა მიმართ მიიწინენ საქმისა, უჴმდა მათ ჴსოვნებაჲ პირველთა ნაქმართა მათთაჲ, რაჲთა ნეშტნი დაკლებულნი აღავსნენ, და არა მართვე პირველთა საქმეთათჳს დამაშურალნი მარადის სამარადისოდ უბადრუკებდენ; რამეთუ ვერ ძალ-ედვა ჴორცთა მიმართისა თანა-შეთხზვასა ყოვლად-ყოვლითურთ დაშრეტაჲ, მათ შორის ყოველსა ჴსენებასა და შესახედავსა პირველ გარდასრულთა ნაქმართა და ხილულთასა და უფროჲსღა ვინაჲთგან მათვე საქმეთა მომართ მოიწეოდეს კუალად; რამეთუ

ვითარ-იგი მიძინებულ და დაწყნარებულ რაჲ
იყვნენ ჴორცნი, რაოდენთა რათ ჰხედავს და
იოცნებს სული, ამათგანთა უმრავლესთა ჴსენ-
ებისა მიერ საზოგადო ჰყოფს ჴორცთა მიმართ,
და იყვის ოდესმე რაჲ ჟამს, შემდგომად ჟამისა
მრავლისა, რომელი-იგი სიზმრივ იხილვებიან,
ცხადად მიუთხრობდის მათ. Ესრეთცა აჴსო-
ვდეს იგინიცა, რომელნი უწინარეს ჴორცთა
მომართ მოსლვისა ექმნნეს; რამეთუ უკუეთუ
წამსა ერთისა ჟამისასა ძილსა შინა ხილული
მის მიერ ანუ ოცნებული სიზმარი შემდგომად
ჴორცთა მიმართ განზავებისა და ყოველთა
ასოთა შინა განთესვისა მისისა აჴსოვს, ფრი-
ად უმეტეს აჴსოვდესმცა იგინი, რომელთა შინა
ეგოდენთა მათ ჟამთა და ყოველთა დღეთა
არასრულისა საუკუნოჲსათა ემოქალაქა».

Ესლო რაჲთა არა ფრიად განვაგრძოთ ესე,
თანა-ერთჴმათა ამათთა ჰპოვებ სამეოცდა
მეერთესა შინა თავსა, და სამეოცდა მეორესა,
და სამეოცდა მესამესა, და სამეოცდა მეოთხ-
ესა და სამეოცდა მეხუთესა.

9. **Ესტინე ფილოსოფოსისა** და მოწამისა
აღდგომისა ძლითისა სიტყჴსაგან: «რაჲ უკუე
ვინ თქუას სული უჴორცოდ თავით თჴსით
ცოდვილთა არასადამე არა, არამედ ჴორცთა
შინა და მათ თანა» და შემდგომითი შემდგო-
მად.

10. **ხლიმენტოს Ѕლექსანდრიელისა** მერვი-
სა სტრომატოჲსგან:

«შემქმნნა ჩუენ Იმერთმან არა-ყოფილნი
პირველ, რამეთუ: უკუეთუმცა პირველ ყო-
ფილ ვიყვენით, გჴმდა ჩუენ მეცნიერებაჲ, თუ
სადა ვიყვენით ანუ ვითა და რაჲსათჴს მოვე-
დით აქა».

Ესვე მესამისა სტრომატოჲსაგან:

«რამეთუ ყოველთა მოიყვანებენ სულთა,
საღმრთოდ წოდებითა პატივცემულთა, ვი-
თარცა საპყრობილესა რასმე სოფელსა ამას
შინა. Ესლო განწმენდილ-ყოფაჲ თანა-აც გან-
ჴორციელებულთა სულთა სიტყჴსაებრ მათისა.
Ѳა არს სჴული ესე არა **Ѳარკიონისგანთაჲ**».

მისივე მისვე სტრომატოჲსაგან, სადა-იგი
იტყჴს **Ѳეგვპტელთა** მიმართ სახარებად სახელ-
დებულისა მისთჴსცა:

«ხოლო აღიარებს მჴნე ესე ყოვლად **პლატო-
ნიანად** საღმრთოყოფასა სულისასა და, ვითარ
ზემოჲთგანვე გულის-თქუმითა მდედრქმნილი,
შეეთჴსა ქმნასა და ხრწნილებასა. Ესინაჲცა ამის
ესევითარისათჴს იიძულების სიტყუად **Ѵავ-
ლე**, ვითარმედ: «მეშინისო, ნუ სადა ვითარცა
გუელმან აცთუნა **Ѥვა**, განხრწნნეს გონებანი
თქუენნი სიმარტივისაგან ჰრისტეს მიმართი-
სა»(II კორ.11,3). Ѳრამედ Ѳფალი არაჲ ხენაჲ-
თა აქა ქმნად მოავლენს ცთომილსა სულსა,
რამეთუ დაბადებაჲ არს-ქმნაჲ და დაბადებაჲ
ყოვლისა მპყრობლისაჲ არს, რომელმან არ-
ამცა სადა უაღრესისაგან უდარესისა მომართ
შობათა მოიყვანა სული, არამედ ჩუენ ცთო-
მილთა მომართ მოვიდა Ѳაცხოვარი და ურჩებ-
ითა ცნებათაჲთა კეთილყოფისაგან ჴუებულნი
მოგონებანი ჩუენნი განჰმართნა».

Ესლო მეექუსესა სტრომატოსა შინა იტყჴს
ესრეთ, ვითარმედ:

«**მეგვპტელნი** სხუათაცა რაჲთათჴსმე და
სულისა ჴორციითი ჴორცად ცვალებისათჴს მე-
სიზმრეობენ. Ѯაჲთა უკუე, – მითხარღა მე, –
განეყოფვის მრავალთა ჴორცთა ცვალებაჲ და
ერთისა მიმართ ყოვლითურთი მისლვაჲ? რა-
მეთუ არარაჲთ უდარეს არს ჴორცთა საკრვე-
ლად აღსაარებაჲ სულისა ხეციით ცოდვისათჴს
გარდამოსრულობისა ქადაგებასა».

11. **Ѳიონისიოს Ѕლექსანდრიელისა** სული-
სათჴს თარგმანებისაგან «Ѥკლესიასტისა»:

«ამისთჴს უკუე შემდგომობისაებრ წესისა
შეუდგების ესე: «და მიიქცესო ქუეყანად მი-
წაჲ, რომლისაგან მიღებულ იქმნა»(ეკლ.12,7);
და ესე უკუე თქუმულ არს კაცობრივთა ჴორც-
თათჴს, ხოლო სულისათჴს მყის დაბადებასა
თანა ჴორცთასა აღაგო Ѳამბადებელმან, და
ესრეთ იტყჴს: «და სული მიიქცეს Იმრთისა
მიმართ, Ѯომელმან მოსცა მას»(ეკლ.12,7).

Ѳა შემდგომად სხუათა სიტყუათა იტყჴს,
ვითარმედ: «სულნი საკუთარ არიან ღმრთისა,
რამეთუ Ѳისითა ბრძანებითა და დამბადებე-
ლობითა ჰგიან, ხოლო არა პირველ დაბადებულ
არიან ჴორცთასა, რომლისათჴს ყოვლით კერ-
ძო თანა-გუაც ჩუენ მადლობაჲ მისი».

12. **Ѵეტრე** ეპისკოპოსისა **ალექსანდრიელ-
თაჲსა** და მოწამისაჲ «არა პირველ-მყოფობი-
სათჴს სულისაჲ»:

«თქუა Იმერთმან: «ვქმნეთ კაცი ხატისაებრ
ჩუენისა და მსგავსებისაებრ»(შესქ.1,26). Ѣინაჲ-
ცა ამისგან ცხად არს, ვითარმედ არა შემოკრე-
ბისაგან ვითარმცა პირველ ყოფილიყო რო-
მელიმე და სხჴსა ადგილისაგან შემოკრებით
ქმნილ იყო კაცი, არამედ ერთბამად დაბადებ-
ითა თანად სულისა და ჴორცთაჲთა, რამეთუ
უკუეთუ შემოკრებით იქმნა, რაჲსათჴსღა დაი-

წერა ქმნად».

Ესევე მისვე სიტყვსაგან:

«ხოლო უკუეთუ ვითარცა იგინი იტყჳან, საწუთოსა ამას შინა მიიღებენ სახიერებისა Იმრთისა მოქცევისაებრ შეწყალებულნი, არცა ეგრეთ აქუს შემდგომობაჲ სიტყუასა, ვინაჲთგან: უფროჲსღა რაჟამს უკნინესნი და ნახევარ სრულნი იყვნეს ცოდვანი სულთანი, ვითარ ჯერეთ გულის-თქუმით ოდენ ქმნილნი, არა შეენდო სინანული და მოქცევაჲ მაშინ სადმე ცათა შინა მოწყალებითა და სახიერებითა Იმრთისაჲთა, არამედ გარდამოცვივეს ქუე? რამეთუ უკუეთუ ზე არა შეწყალებულ იქმნეს, რაჲსათჳს აქა მიემთხჳვნეს სახიერებასა, რაჟამს გარდამოცვივეს პყრობილ-ყოფად ჴორცთა შინა და შესძინეს საზომსა და რაოდენობასა და სიმძიმესა ცოდვათასა?»

Ესევე ეგრეთვე მისვე სიტყჳსაგან:

«ვინაჲცა არა მისათუალველ არს უწინარეს ჴორცთასა ცათა შინა ცთომილება სულთაჲ, არცა რაჲთურთით პირველ ჴორცთასა ყოფაჲ. Შრამედ სწავლაჲ ესე **ელლინებრისა** ფილოსოფოსობისაჲ არს, რომელი უცხოჲ და კიდეგანი არს მათგან, რომელთა Ѣრისტეს მიერ კეთილად მსახურებით ჰნებავს ცხორებაჲ და რომლისათჳს გუესმის: ნუ ფრიად შეექცევი უცხოსა, ნუცა ზედაჲს-ზედა თან-აჴდილ ჰყოფ არა თჳსთა, რომლისაცა შორის ჩუენგან წარმდევნელნი დავემტკიცებით სიტყუად, ვითარმედ: არცა Იმრთივ-სულიერნი წიგნნი ასწავებენ ესევითარსა რასმე, არცა Ѣმიდაჲ Ѭათოლიკე Ѯკლესიაჲ ესრეთ ქადაგებს, არამედ ვითარმედ: ცოდვენ კაცნი, დამკჳდრებულნი ქუეყანასა ზედა»...

Ესე რაჲთა არა ყოველსავე წარმოვიტყოდი ყოვლისავე მის სიტყჳსა მიერ, აჩუენებს არა-სადა პირველ-მყოფობასა სულთასა ჴორცთაგან.

13. Ѣმიდისა **Ѳეოდი** ეპისკოპოსისა და მოწამისა Ѯღდგომისა ძლითისა სიტყჳსაგან სულისათჳს:

«უკუეთუ საჭირო არს განსაზღვრებად ჴორცთა უკუე საკრველად საგონებელ-ყოფაჲ ხოლო სულისა, რაჲთა თანა-შემწედ უსამართლოებისა და თანა-მოქმედად იჴუმიოს საკრველი, რომელი-ესე შეუძლებელ არს, რამეთუ: უკუეთუ ცოდვილისათჳს სატანჯუელად მიეცა, რაჲთა შემუსრვილ იქმნეს და პატივისცემად Იმრთისა განისწავლოს სული, ვითარ თანა-მოქმედ და თანა-მოღუაწე მისსა უსამართლოებისათჳს არს სული? რამეთუ საკრველნი და

საპყრობილენი, და ჴელბორკილები და სხუანი ეგევითარნი განმართებისათჳს მოპოვნებულნი ღონენი არა თანა-შემწე უსამართლოებისა და მცოდველობისა ტანჯულთაჲსა იქმნებიან, ვინაჲთგან არა თუ ვითარ უმეტეს იუსამართლოოს უსამართლომან თანა-მოქმედად უსამართლოებისა მიცემისა საკრველი, არამედ რაჲთა დააცადოს უსამართლობაჲ გუემულმან საკრველთამან».

Ესე შემდგომად სხუათა სიტყუათა კუალად იტყჳს:

«ხოლო ვითარ შემდგომად საკრველთა შემზადებისა იტყჳს: აჰა, წინაშე პირსა შენსა დავდევ ცხორებაჲ და სიკუდილი!»

Ესე კუალად:

«უკუეთუ გინდეს, ისმინოთ ჩემი, რამეთუ: ესე და ესევითარნი ყოველნი ვითარცა თჳთ ჴელმწიფისა და არა ვითარცა საკრველთა ქუეშე მყოფისა და ჭირისა მიერ ყვანებულისა მიერ იქმნებიან».

Ესე კუალად შემდგომად სიტყუათა:

«ეგერა უკუე პირველ თქუმულ არს, ვითარმედ: არა ჴორცნი არიან სამოსელნი ტყავისანი, რამეთუ არა კუალაცა ვიტყჳ ერთგზის თქუმულსა, არამედ მხოლოდ ამას ოდენ დავჰრთავ, ვითარმედ: უწინარეს ტყავისა სამოსელთა შემზადებისა თჳთ იგი პირველ-ქმნული კაცი აღიარებს ძუალთა და ჴორცთა ქონებასა, რაჟამს-იგი დედაკაცი მისდა მიმართ მოყვანებული იხილა, რამეთუ თქუა: «ესე აწ ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ჴორცი ჴორცთა ჩემთაგანი»(შესქ.2,23). Ესამეთუ არა მივითუალავ მოზრახვასა ვიეთსამე და უსირცხვილოდ მაიძულებლობასა Ѣერილისასა. Ესაჲთა უარყონ აღდგომაჲ მკუდართაჲ ჴორცთა, ამისთჳს საცნაურთა ძუალთა და ჴორცთა იოცნებენ და სხჳთი-სხუად, ზემო და ქუემო მიმოსცვლიან სახისმეტყუელებასა. Ესე ამისისა ესრეთ აღსაარებისა, ვითარცა წერილ არს Ѣრისტესგან განმამტკიცებელობასა შინა, ვითარ-იგი მიუგო მან, ჰკითხჳდეს რაჲ **ფარისეველნი** განტევებისათჳს ცოლისა, და ჰრქუა: «არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ დასაბამსა რომელმან აღაგო, წული და ქალი შექმნნა?»(მთ.19,4) და შემდგომი. Ესამეთუ ვითარ მოიღებვიდის მხოლოდ სულისათჳს ოდენ, ვითარმედ: «აღორძნდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანაჲ»(შესქ.1,28)».

Ესე რაჲთა არა სრულიად მოვიღოთ ყოვე-

ლივე ძლითი სიტყუაჲ მისი, რომელი სავსე არს ესევითართა მიერ ვიდრე აქამდე, ხოლო კმა ვყოთ თქუმაჲ მის მიერითა სიტყუათა.

14. **Ჰპოლიტე** ეპისკოპოსისა და მოწამისა თარგმანებისაგან დაბადებისა:

«არამედ ერთისა კაცისათჳს არს ყოველივე მოთხრობაჲ, რამეთუ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ «ვქმნეთ კაცი»(შესქ.1,26), ყოფადისათჳს არს, ხოლო რაჟამს შექმნა, იტყჳს: «და შექმნა Იმერთმან კაცი მიწისა მიმღებელმან ქუეყანისაგან»(შესქ.1,27). Ჯინაჲცა ერთისა და მისვე კაცისათჳს იყო თხრობაჲ, რამეთუ მუნ იტყოდა, ვითარმედ «ვქმნეთ», ხოლო აქა, ვითარმედ: «შექმნა». Ცა ერთბამად ვიდრემე და მყის თანად შეიქმნა ყოვლითურთ კაცი და არა პირველ დაებადა სული ჴორცთასა».

15. **Ევსტათი** ეპისკოპოსისა **Ანტიოქელისაჲ** სულისათჳს აღწერილისა სიტყჳსაგან:

«არამედ ვინაჲთგან ამიერ შეიწრებულად დაშთომილად ჰხედვენ თავთა თჳსთა, სხჳსა სივერაგისა მიმართ მიივლტიან და წყალსა რასმე დავიწყებისასა წმასნიან, რომლისასა იტყჳან, ვითარმედ: «თითოეული მსუმელი მისთაგანი მოვიწყე იქმნებისო საქმეთა გარდასრულისა ცხორებისა თჳსისა». Ჲოლო ესე ზღაპრობითი და მშომიობელი არს ფილოსოფოსობისაგან; არცა ერთი ვინ უმეცარ არს კეთილად გონიერთაგანი, რამეთუ: «რაჲ უკუე ვთქუათ, ჰოჲ **Სითალორა** და **Სლატონ**: თქუენცა იგივე დავიწყებისა მოქმედი მიიღეთა და ჰსუთა ანუ განერენით ვითამე და თანა-წარიჴადეთ თქუენ? აწ უკუეთუ თქუენი სარწმუნო იქმნას თანა-წარსლვაჲ დავიწყებისა სასუმელისაჲ, ცხად არს, ვითარმედ სხუანიცა მრავალნი ვინმე იპოვნენ განრომილნი მისგან. Ჲოლო თუ ზოგად ყოველთა ჰაერისა მიერ მიზიდულთა დავიწყებისა წყალი ჰსუთ მდიდრად, ვითარ და ვინაჲ მომთხრობელ იქმნენით ზედა-მიწევნით სულთათჳს ანუ ვინაჲ უწყით რაჲთურთ რიცხჳ რაოდენად დაბადებულებისა მათისაჲ? რამეთუ არა თუ გამოცდილ ხართ თქუენცა მათთანავე ჴუმევასა მისსა, უმეცარ ხართ აღმოცენებასაცა მის წყლისასა. Ჲოლო უკეთუ სწორადვე სხუათა გამოცდილ ხართ და თქუენცა დავიწყებითა, უჩინო-ქმნილ არს ჴსენებაჲ მისისაჲ განქარვებითა მეცნიერებისაჲთა». Ცრამედ ამათდა მიმართ იგინი შესცთეს, რომელნი ვნებულ იყვნეს მრჩობლ-ეშმაკეულებითა ბარბაროზთაჲთა, წინა შეუდგეს რაჲ მოძღვრებასა

მეგჳპტელთასა».

16. Ბერმეცა ნეტარი **Ბთანასი ალექსანდრიელთა** მთავარ-ეპისკოპოსი **Ბრიანოზთა** მიმართთა შინა სიტყუათა თჳსთა ცხადად წარმოაჩინებს, ვითარმედ: «ჟამსა შინა ქმნილ არიან ყოველნი ქმნულნი და არა ვითარ იგი იტყჳან თანად Იმრთისა და თანად გონებისა ყოფასა, რომელთაგან გამონაკრთობად ქმნასა იტყჳან სულთასა და ჴორცთა თანა-შეკრვასა».

Ბისვე ნეტარისა **Ბთანასისი** ფილოსოფოსისა **Ბაქსიმეს** მიმართისა სიტყჳსაგან:

«ხოლო ჩუენ **Ბდამისგან** ვიშვებით და მონაცვალებითა ნათესავისაჲთა ვჰგიეთ. Ჯინაჲცა მხოლოჲ იგი ოდენ დაიბადა მიწით და არამქონებელი მყოფისაჲ პირველ უკუანაჲსკნელ მიმღებელ იქმნა ყოფისა».

Ბისივე «ცხორებისაგან წმიდისა **Ბნტონისა**», ხოლო ჰყოფს სიტყუასა ამას **Ბნტონის** მაგიერ:

«ვითარ მბასრობთ ჩუენ, ვიტყოდით რაჲ კაცად გამოჩინებასა Ჭრისტესსა, ვინაჲთგან თქუენცა, გონებისაგანად განმსაზღვრებელნი სულისანი, ცთომასა იტყჳთ მისსა და კამარათაგან ცისათა ჴორცთა მომართ დავრდომილობასა. Ცა რამეთუ ჩუენ უკუე სარწმუნოებაჲ საცხორებელად კაცთა მოსლვასა იტყჳს Ჭრისტესსა, ხოლო თქუენ ცთომასა შეუქმნელსა სულისასა».

Ბისივე სულისათჳს ეპისტოლისაგან, დასაჴსნელისა **Ორიგენის** სჯულთაჲსა, რომელი აღწერა პირითა კრებისა **მეგჳპტელთა** და **ალექსანდრიელთაჲსა**:

«ხოლო უკუეთუ პირველვე იყო სული ხეცათა შინა და პირველვე სცოდა მუნ, ვითარცა ბორგნეული და ღმრთის-მბრძოლი **Ორიგენი** იტყოდა, უჴმდა წმიდასა Ჩინაჲსწარმეტყუელსა არა თქუმაჲ ამისი, ვითარმედ: «რომელმან *დაჰბადა* სული კაცისა მის შორის»(შდრ.: იერ.38,16), არამედ უფროჲსღა ესრეთ: «რომელმან *შეაყენა* სული კაცისაჲ მის შორის», რეცა ვითარმცა შთამოავლენდა! Ჲოლო აწ არა შეყენებისა, არამედ მის შორის დაბადებით თქუმითა გამოაჩინებს მას მგელად მძიმედ, შემოსილად გარეთ საცთურად მრავლითა ტყავითა წარწყმედისაჲთა, რამეთუ ვითარცა ხეცით მოსრულმან, მიცთომილმან მან და მუნ განწესებულთა საქმეთა ზედამიწევნით მცნობელმან, ყოველივე ცხადად არა ხოლო პირველ-მყოფობაჲ, არამედ პირველ-მცოდვე-

ლობაჲცა სულისაჲ თქუა ცათა შინა. Შწ უკუე
თქუედ ესეცა, ვითარცა უცთომელმან და და-
ურჩომელმან მეცნიერმან Ხეცისა საქმეთამან,
თუ ვითარითა სახითა და გუარითა ცოდა Ხე-
ცათა შინა?..»

17. **ᲮᲒᲠᲘᲚᲘ ᲨᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲔᲚᲘ** მამათმთავრი-
სა მოსაჴსენებელისაგან Ꙗოვანეს სახარებისა
სულისათჳს:

«უკეთუ შემზადებისა კაცობრივთა ჴორ-
ცთაჲსა პირველვე შექმნა სული და მიდრე-
კილსა უდარესისა მიმართ იᲭჳსაებრ მათისა
სატანჯჳელად მიეცა შეცოდებისად ჴორცთა
მომართ გარდამოსლვაჲ, მითხარ მე: ვითარ
უკუე იტყჳს განათლებასა სოფლად მომავალ-
ისასა Შახარებელი? რამეთუ პატივი არს, ვი-
თარ ვგონებ, განათლებაჲ და შემატებაჲ მადლ-
თა ბრწყინვალეთაჲ. Ეოლო არა იტანჯებისა
ვინმე პატივცემული, არცა იგუემების ზიარად
საღმრთოთა კეთილთა გამოᲩინებული, არამედ
– რისხვეულთა ნაწილისგანი. Ეოლო ვინაჲთგან
არა ამათთჳს, არცა ამათ შინა, არამედ წი-
ნა-აღმდგომთათჳს მოვალს სოფლად კაცი და
განათლდების, ცხად არს უკუე, ვითარმედ არა
სატანჯჳელად აქუს განჴორციელებაჲ ჴორცთა
შინა პატივცემულსა მას».

Ცა კუალად:

«უკუეთუ უწინარეს ჴორცთასა უდარესისა
მიმართ დამᲮობილ იქმნა და ამისთჳს ჴორცთა
თანა შეეთᲮზნა, ვითარ განათლდების მომავა-
ლი სოფლად? რამეთუ საᲭირო არს ცალიერად
ნათლისაგან თქუმაჲ ამისი უწინარეს ჴორცთა
მომართ მოსლვისა მისისა. Ეოლო უკუეთუ
ესრეთ არს ესე, ვითარ იყო გონებაჲ წმიდა,
რომელმან მაშინ სადმე ძლით მიიღო დასაბამი
განათლებისაჲ, რაᲯამს სოფლად მოვიდა და
ესე არა თჳნიერ ჴორცთასა?»

Ცა კუალად:

«უკუეთუ პირველ-ყოფილმან ცოდა სულ-
მან და ამისთჳს თანაშეეთᲮზა ჴორცთა და
სისხლთა სატანჯჳელისა ადვილად მიმღებ-
ელი ამის საქმისაჲ, ვითარ არა უჴმდა Ხრისტეს
მომართ მორწმუნეთა და მიმღებელთა ამიერ
სახესა ცოდვითა მიტევებისასა მყის განსლვაჲ
საკრველისაგან ჴორცთაჲსა და მიზეზად სა-
ტანჯჳელისა გარე-შესᲮმულთა განყრაჲ ანუ
ვითარ აქუს, – მითხარ მე, – სრულიად მიტევე-
ბაჲ სულსა კაცისასა მერმეცა გარე-შეცვულისა
სახითა მით სატანჯჳელისაჲთა? არამედ ვხე-
დავთ, ვითარმედ ესოდენ განშორებულ ვართ

ჴორცთაგან განყოფისა ნებებასა მორწმუნენი
Ხრისტესნი, ვიდრეცა Ხრისტეს მიმართისა
სარწმუნოებისა თანა შედგომილად ვჴმობთ
აღდგომასაცა ჴორცთასა. Შრა სადმე ტანჯჳსა
არს სახე აღსაარებითაცა სარწმუნოებისაჲთა
პატივცემული საქმე, ვითარცა საღმრთოჲთა
ძალითა Შაცხოვრისაჲთა ყოვლისავე ადგილად
შემძლებლობისა მწამებელი და ამისთჳს ცხ-
ოვრებადვე კუალად ქცევისა მისისა აღდგო-
მისა მიერ განᲩინებული».

Ცა კუალად:

«უკუეთუ სიტყჳსაებრ მათისა პირველ ჴორ-
ცთასა მყოფმან სულმან ცოდა, რომლისათჳს
თანა-შეეთᲮზა ჴორცთა ამათ, რაჲსა უკუე მი-
ზეზისათჳს სᲯული მძიმედ შეცოდებულთა
ვიდრემე სიკუდილითა განᲰპატიᲯებს, Ხოლო
არარაჲთ შემცოდეთა სიცოცხლედვე ფლობ-
ილ Ჰყოფს? რამეთუ უფროჲსღა უჴმდა სადმე
ფრიად შეცოდებულთა მათ მიᲨვებაჲ ჴორცთა
შინა ყოფისა დაყოვნებასა, რაჲთა უფროჲსღა
იტანჯჳნენ, Ხოლო არარაჲთ მცოდველთა მათ
განჴსნაჲ ჴორცთაგან, უკუეთუ სატანჯჳელისა
ნაწილი არს ჴორცთა შინა მკᲯდრობაჲ».

Ცა კუალად:

«უკუეთუ პირველ გარდასრულთა ცოდვა-
თათჳს განჴორციელდეს სულნი და ღონედ ტა-
ნჯჳისად მათისა მოᲰოვნებულ იქმნა ბუნებაჲ
ჴორცთაჲ, რაჲ მარგო Ჩუენ Შაცხოვარმან გა-
ნქარვებითა სიკუდილისაჲთა ანუ ვითარ არა
უფროჲს შეიწყალა Ხრწნილებაჲ უᲩინო-მყ-
ოფელი ტანჯჳსა Ჩუენისაჲ და დასასრულად
მიწევნილი Ჩუენ ძლითისა რისხჳსა? რომლი-
სათჳს თქუას ვინმე, ვითარმედ: „უფროჲსღა
Ხრწნილებისა მადლობაჲ Ჯერ იყო, უკუეთუ
სამარადისოსა ტანჯჳასა მივეცემით Ჩუენ მკუ-
დრეთით აღდგომისა მიერ“».

Ჭარნა ვინაჲთგან მრავალ არიან ამათთჳს
თქუმულნი მისნი, კმა ვყვნეთ მᲮოლოდ აწ
მოჴსენებულნი ოდენ და სᲮუათა თანა-მოსა-
ხელეთა ჴმათა მიმართ მივიცვალოთ.

18. **ᲮᲒᲠᲘᲚᲘ** ეპისკოპოსისა **ᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲔᲚᲘᲡᲐ**
მეოთᲮისა საკათაკუმეველოჲსაგან:

«ასწავე უკუე ესეცა, ვითარმედ: უწინარეს
სოფლად მოსლვისა არარაჲ უცოდავს სულსა,
არამედ უცოდველად შემოსრულნი აღრᲩევისა
მიერ ვცოდავთ აწ».

Შისივე მეათოთᲮმეტისა საკათაკუმეველო-
ჲსაგან:

«Შაშინ თქუა Იმერთმან: «ვქმნეთ კაცი Ხა-

ტებად ჩუენდა და მსგავსებად»(შესქ.1,26). ნა ხატობითობა უკუე მიიღო კაცმან, ხოლო მსგავსობითობაჲ ურჩებისა მიერ უშვერ ყო. ნწ უკუე არა სადმე უწინარეს სოფლისა ჯერ-არს თქუმაჲ ყოფასა ხატებად დაბადებულისასა».

19. ნიოდორე ჩარსელ ეპისკოპოსისაჲ **შანიქეველთა** წინაგანწყობად აღწერილისა პირველისა წიგნისა მეშჯდესა თავისაგან:

«რამეთუ სული ჴორცთავე თანა დაჰბადა და არარაჲ უმეტესი აქუს ჴორცთა შორისისა მეცნიერებისა მისისა, ეგერა პირველვე გჳთქუამს კმა-საყოფელად მცირედ შემრაცხველთა ელლინებრისა სიცბილისათა და დავიწყებისა სასუმელისა ზღაპრებრივთა სიტყუათა უღონოებითა დაბურვილისა განმბასრველთა».

შისივე დასამჴობელად **ნპოლინარის** აღწერილისა წიგნისაგან «ჩაოანად» სახელდებულისა:

«და რაოდენთაცა უხილავთა ძალთა ვითარცა იმრთისა მიერ დაბადებულთათჳს მოიჴსენებს, არა განმიცხადეს ჩუენ რაჲთურთით პირველ დაბადებულობისათჳსცა სულთაჲსა და ვითარმედ უკუანაჲსნელლა აგებულთა ჴორცთა მომართ მიივლინებიან, ხოლო თანა-შექმნასა სულისასა იტყჳან და ჩუენ გურწამს უკუდავი მოკუდავსა შინა, სიტყჳერ-მყოფელი ორღანოჲსა მის. ჲოლო უკუეთუმცა ყოფილიყო სული პირველ ჴორცთასა, უეჭველად აჴსოვდამცა პირველ ჴორცთა თანა-შეთხზვისა გარდასრული იგი ცხორებაჲ და არამცა ვითარცა საკრველისაგან იძლეოდა, არამედ ვითარცა უნდოსამცა შეურაცხ-ჰყოფდა ჴორცთა შორის ცხორებასა, ვითარცა მხოლოდ ქუეყანიერთასა ოდენ მზრუნველსა».

საუკუნოდმცა იჴსენების **ნრსენი!**
აქა დასრულდა ერთბამად განქიქებაჲ
ელლინებრისა სულთა პირველ-ყოფისაჲ
და თანად ორთა უფსკრულისა ვეშაპთა –
ჲრიგენის და **შანენტოჲს** საცთურისაჲ.